ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4530961

ნომერი: AR1682564

თარიღი : 23.05.2019

გაცემის თარიღი : 05.06.2019

გაცნობის თარიღი : 05.06.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ანდრონიკაშვილი , (ყოფილი ულიანოვის) , N 29;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევანი ზაალიშვილი პ/ნ 01019002357
- თბილისი რკინიგზის ქ. N 18 ბ. 3

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საამქრო/სტამბა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 23 მაისის #AR1682564 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ქუჩა ანდრონიკაშვილი, (ყოფილი ულიანოვის), №29, (საკადასტრო კოდი: #01.11.03.008.199) არსებულ მიწის ნაკვეთზე სამეურნეო და საწარმოო ობიექტების (საამქრო/სტამბა) აშენების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას. პასუხად გაცნობებთ,

1. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ....ფოტოსურათების pdf ფაილი :
წარმოდგენილ იქნეს დღევანდელი მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები თარიღის დაფიქსირებით.

2. საინფორმაციო დაფა-ბანერი -> ....საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.:
წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან.
საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტი №57დადგენილების 40-ე მუხლის 1-ლი ქვეპუნქტის შესაბამისად აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:
•შენობა-ნაგებობის მისამართი;
•შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
•მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო
•განაცხადის განხილვის ვადები (მიუთითეთ ატვირთვის თარიღი და - კანონით დადგენილი განხილვის ვადა);
•შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა ან/და გაბარიტები.
საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

თქვენ მიერ წარმოდგენილი ბანერი არ შეიცავს კანონმდებლობით დადგენილ ყველა აუცილებელ ინფორმაციას, კერძოდ განაცხადის ატვირთვის თარიღს.
3. ვინაიდან წარმოდგენილი ტოფოგრაფიული გეგმიდან დგინდება რომ მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება ხე-ნარგავები, წარმოსადგენია საპროექტო შენობის განთავსების სქემა და გაითვალისწინეთ: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და არსებულ მწვანე ნარგავებს შორის შეადგენს 3 მეტრს, (გაითვალისწინეთ, რომ მანძილი ხიდან შენობამდე მითითებული უნდა იყოს ხის ძირიდან) ხოლო ბუჩქებს შორის 1,5 მეტრს.

ასევე გაითვალისწინეთ: თუ ტერიტორიაზე იგეგმება ხე-ნარგავების მოჭრა/ გადარგვა, წარმოსადგენი იქნება უფლებამოსილი ორგანიზაციის ან/და სპეციალისტის საექსპერტო დასკვნა, ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება (სახეობის და გარშემოწერილობის შესახებ, რომელიც იზომება მიწის ზედაპირიდან 10 სმ. სიმაღლეზე), რომელთა დასკვნის საფუძველზე წარმოდგენილ უნდა იქნეს მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე მონიშნული ხე-ნარგავები შესაბამისი ექსპლიკაციის მითითებით, რომელიც გადასაგზავნი იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის შესაბამისი პოზიციის მისაღებად.

აქვე განგიმარტავთ, რომ გარემოს საქალაქო სამსახურში, გადასაგზავნი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.